

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

## სხდომის ოქმი N2

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

31.01.2019წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -*გიორგი ივანიძე*.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი:** -გიორგი ივანიძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა მაგნიძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტყარაძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

### მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -*ივანე მამფორია*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი - *თამარ ადეიშვილი*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - *მარინა ღვინიაძე*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი -*თეიმურაზ სოხანიშვილი*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტურიზმის დარგში -*კობა დვალიშვილი*.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 13<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგობის ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: / მარინა ღვინიაძე/

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელი: / თამარ ადეიშვილი/

5.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: /მიხეილ სვანაძე/

6.,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

7. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია“-ს დაფუძნების და წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: /კობა დვალიშვილი/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა იზრდება 281,2 ათასი ლარით, რაც განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით, უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა დადგენილების დანართში და აიტის სპეციალისტს თანამდებობრივი სარგო გაეზარდა 50 ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N4 )

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მარინა ღვინიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა მერიის დებულებაში, კერძოდ „შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური“-ს სახელწოდება შეიცვალა და არის „ შიდა აუდიტის სამსახური“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი –არცერთი.

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N5)

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამარ ადგიშვილმა წარმოადინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელმა აღნიშნა, ძირითადი ცვლილება არის ის, რომ იცვლება დადგენილების სათაური და პირველ მუხლი. კერძოდ ამოღებული იქნება სიტყვა „ინსპექტირება“ წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი –არცერთი.

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე .

(დანართი. დადგენილება N6)

**მოისმინეს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ამ დადგენილებასთან დაკავშირებით მოსულია შენიშვნები, მივიღეთ ეს შენიშვნები და შევიტანეთ დადგენილებაში ცვლილებები. კერძოდ, დადგენილების დანართში „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა“ მითითებული იყო, რომ ახალშობილის მამა უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში. ცვლილებით სავალდებულოა ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი ახალშობილის დაბადებამდე 180-ე დღიდან, განცხადების შეტანამდე უწყვეტად უნდა იქნეს რეგისტრირებული და ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

( დანართი: დადგენილება N7)

**მოისმინეს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამურაზ სოხანიშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების დანართში შევიდა ერთი ცვლილება კერძოდ, დაემატა პუნქტი: „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველი სახით გადამუშავება, დასაწყობება“ მოსაკრებელი პირველადი 1000 კვ.მ-დე არის 10 თეთრი და 1000 .კვ.მ.ზევით დაემატება ყოველ 1მ<sup>2</sup>-ზე 1 თეთრი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვეიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

( დანართი: დადგენილება N8)

**მოისმინეს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა დვალიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი . „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია“-ს დაფუძნების და წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს მოკლედ გააცნო ორგანიზაციის წესდება. წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვეიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია“-ს დაფუძნების და წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

( დანართი: განკარგულება N1)

დღის წესრიგის საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა ოლეგი მიქელთაძემ. ოლეგი მიქელთაძე: „მივესალმები ბიჯეტიდან თანხის გამოყოფას და სკოლების რებილიტაციას, ჩემი დიდი თხოვნაა გაითვალისწინოთ და სამომავლოდ გადიდის სკოლაც ჩაისვას ამ პროგრამაში. ჩვენი სკოლაში სასახელო მოსწავლეები არიან, ერთ- ერთმა მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს მასშტაბით ქართული ენის ოლიმპიადაში, გვყავს კიდევ იმერეთში პირველი ადგილის მფლობელი მათემატიკის ოლიმპიადაში.

სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა დეპუტატს მოემზადებინა შესაბამისი წერილი და იმსჯელებდნენ ამ საკითხზე.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე